1959

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

*Министерства просвещения Грузинской ССР*

**11**

ნოემბერი

თბილისი—1959

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 1144

1959 წლის 7 ოქტომბერი

### მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის 1959 წლის საკურსო ღონისძიებათა გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

გავეცანი რა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ საკურსო ღონისძიებათა გეგმის შესრულების მიმდინარეობის შედეგებს, აღვნიშნავ, რომ ინსტიტუტმა საკურსო ღონისძიებათა გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა და 8 თვეში ნაცვლად 3300-ისა გადაამზადა 3905 მასწავლებელი და განათლების სხვა მუშაკი.

განსაკუთრებით კარგი მუშაობა იქნა ჩატარებული ზაფხულის პერიოდში მოწყობილ დახელოვნების კურსებზე, რომელზედაც ნაცვლად 2340-ისა გადამზადდა 2950 მასწავლებელი. სკოლის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის საფუძველზე, ინსტიტუტმა გადაახალისა კურსების სასწავლო გეგმები და პროგრამები. მეთოდიკის საკითხებთან ერთად საჭირო ყურადღება მიექცა მასწავლებელთა თეორიული დონის ამაღლებას, სკოლის ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცებას და საწარმოო სწავლებას. მასწავლებლები გაეცნენ წარმოების საფუძვლებს, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს. კურსებზე საგრძნობლად გაიზარდა პრაქტიკულ-ლაბორატორიული მუშაობა, ურთიერთ გამოცდილების გაზიარება და სხვა.

ინსტიტუტმა სათანადო ყურადღება მიაქცია პოლიტექნიკური საგნების მასწავლებელთა გადამზადების საქმეს. კურსებზე გადამზადდა პოლიტექნიკური საგნების — 867 მასწავლებელი; მათ შორის: შრომის 100; მანქანათმცოდნეობის — 69, ფიზიკისა და ელექტროტექნიკის პრაქტიკუმის — 137,

ბიოლოგიისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის—150, დაწყებითი კლასების ხელგარჯილობის—130, მეოჯახეობის—82 მასწავლებელი და საწარმოო სწავლების—199 ხელმძღვანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფხულის პერიოდში პედაგოგიური კვალიფიკაცია აიმაღლა არაქართული სკოლების—740-მა მასწავლებელმა და განათლების სხვა მუშაკმა: რუსული სკოლების—443, სომხური სკოლების—71, აზერბაიჯანული სკოლების—44, აფხაზური სკოლების—83 და ოსური სკოლების—72-მა.

ქართულ სკოლებში რუსული ენისა და უცხო ენების სწავლების გაუმჯობესების მიზნით ზაფხულის პერიოდში კვალიფიკაცია აუმაღლდა რუსული ენის 373, გერმანული ენის—65, ინგლისური ენის—45 და ფრანგული ენის—28 მასწავლებელს. გადამზადებულ იქნა აგრეთვე საინგილოს სკოლების 12 მასწავლებელი, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების—62 დირექტორი და 42 მასწავლებელი.

ქალაქების: თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, აგრეთვე ასპინძის, ზესტაფონის, თელავის, ტყიბულის, ხაშურის, ახმეტის, წულუკიძის, დუშეთის, საჩხერისა და სხვა რაიონების განათლების განყოფილებებმა შეასრულეს კურსებზე გამოსაგზავნი კონტინგენტის გეგმა, სწორად შეარჩიეს მსმენელები და დროულად მოავლინეს კურსებზე.

ინსტიტუტმა თვალსაჩინო მუშაობა ჩაატარა მასწავლებლებისა და განათლების სხვა მუშაკებისადმი პრაქტიკული დახმარების გაწევისათვის. ინსტიტუტისა და მისი ფილიალების მიერ რვა თვის განმავლობაში ადგილზე მისვლით შესწავლილია 676 სკოლის 1241 მასწავლებლის 1552 გაკვეთილი, ხოლო სემინარებზე წაკითხულ ლექციებს დაესწრო 5321 მასწავლებელი და განათლების სხვა მუშაკი. სემინარული მუშაობის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კურსებგავლილი მასწავლებლების მუშაობის შესწავლას, საგნების სწავლებას, კურსების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოვლინებას და ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებას.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული მიღწევებისა, საკურსო და სამინარულ-მეთოდიკურ მუშაობაში ადგილი ჰქონდა გარკვეულ ნაკლოვანებებს:

რიგი განათლების განყოფილებები არასწორად არჩევენ კურსებზე გამოსაგზავნ კონტინგენტს, აგზავნიან ჩვილბავშვიან (ლაგოდეხისა და ლენტეხის რაიონები) და ფეხმძიმე ქალებს (სამგორის, გეგეჭკორის და ჩხოროწყუს რაიონები); ზუსტად არ ატყობინებენ

მასწავლებლებს კურსების მუშაობის ადგილს, რაც იწვევს მასწავლებელთა უშედეგო მოგზაურობას და კურსებზე დაგვიანებით გამოცხადებას (ოჩამჩირის, სოხუმის, ბოგდანოვკის, მახარაძის და თეთრიწყაროს რაიონები); ძალზე დაგვიანებით ატყობინებენ მასწავლებლებს კურსებზე წასვლის დროს (ლენტეხის, აბაშის, წალენჯიხის, სამტრედიის, გალის და ბათუმის რაიონები) და სხვა.

კურსების კონტინგენტის გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით ჩამორჩნენ: თიანეთის, ლენტეხის, ყაზბეგის, თეთრიწყაროს, ახალქალაქის, წალკის, მესტიის, ჩოხატაურის, დმანისის, ბოგდანოვკის, ხობის, ახალციხის, ქ. ფოთის, ორჯონიკიძის, წალენჯიხის, ცხაკაიას. სამტრედიისა და ჩხოროწყუს რაიონების განათლების განყობილებები.

ზაფხულში მოწყობილი დახელოვნების კურსები ზოგან არ იყო უზრუნველყოფილი შესაფერისი ბინებით და საჭირო ინვენტარით, ინსტიტუტის ხარჯზე ექსკურსიების მოწყობით და სხვა სახის კულტმომსახურებით, მეთოდლიტერატურით და ჟურნალ-გაზეთებით.

დახელოვნების ინსტიტუტის სოხუმის ფილიალმა, რომელმაც გასულ წელს ვერ მოაწყო აფხაზური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა დახელოვნების კურსები, წელსაც ვერ შეძლო გეგმის შესრულება და, ნაცვლად 30 აფხაზური ენის მასწავლებლისა, გადაამზადა მხოლოდ 22 მასწავლებელი.

ჯერ კიდევ არ ეწევა საკმაო დახმარება სკოლა-ინტერნატის, საწარმოო სწავლების, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაკებს.

დახელოვნების კურსების მუშაობის გაუმჯობესებისა და განათლების მუშაკებისადმი ადგილზე უკეთესი დახმარების გაწევის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს (ამხ. გ. ასპინელაშვილი):

ა) აამაღლოს ლექციებისა და პრაქტიკული მუშაობის ხარისხი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ლექტორთა და მსმენელ-მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარებას, მის განზოგადებასა და გავრცელებას. გააძლიეროს ლექტორებზე დახმარება და კონტროლი;

ბ) როგორც საკურსო, ისე სემინარული მუშაობის დროს პირველ რიგში აღმოუჩინოს დახმარება სკოლა-ინტერნატების, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისა და საწარმოო სწავლების

სკოლების მუშაკებს, ადგილზე მისვლით შეისწავლოს მათი მუშაობა, გაუწიოს პრაქტიკული დახმარება, ხელი შეუწყოს მოწინავეთა გამოვლინებას, მათი გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) დროულად მიიღოს საჭირო ზომები 1960 წლის საკურსო ღონისძიებათა დაგეგმვისა და თანამედროვე ეტაპზე სკოლის წინაშე მდგომი ამოცანების შესაბამისად კურსების სასწავლო გეგმებისა და პროგრამების გადამუშავებისათვის.

2. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) დროულად შეისწავლონ და აღრიცხონ 1960 წლისთავის კურსებზე გამოსაგზავნი კონტინგენტი და ა/წ. პირველ დეკემბრამდე წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებას განაცხადი რეალური შესაძლებლობის მიხედვით.

ბ) ზუსტად დაიცვან განათლების სამინისტროს მითითებანი კურსებზე გამოსაგზავნი კონტინგენტის შერჩევის შესახებ, მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდონ კონტინგენტის დროულად და დანიშნულებისამებრ კურსებზე მოვლინებას, ზომები მიიღონ იმ მასწავლებლებისა და განათლების სხვა მუშაკების მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ დახელოვნების კურსებზე წასვლას;

გ) ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და მის ფილიალებს თავიანთ სამოქმედო რაიონებში მოწყობილი კურსებისა და სემინარული მუშაობის ჩატარებაში.

3) დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს (ამხ. ა. კვაჭაძე) დროულად დაფინანსოს ინსტიტუტი და მისი ფილიალები საკურსო და სასემინარო ღონისძიებათა გატარებისათვის.

4. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (ამხ. ს. არველაძე) უზრუნველყოს ინსტიტუტის მომარაგება სამეურნეო ინვენტარითა და დიდაქტიკური ხელსაწყოებით.

5. აღინიშნოს წალკის, დმანისის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ყაზბეგის და ლენტეხის რაიონების განათლების განყოფილებების განსაკუთრებული ჩამორჩენა კურსებზე მოსავლიანებელი კონტინგენტის გეგმის შესრულებაში; დაევალოთ მათ ყველა ზომა მიიღონ მიმდინარე წლის კონტინგენტის გეგმის შესრულების უსრუნველსაყოფად.

6. დაევალოს წყალტუბოს, ლენტეხის და მესტიის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს: მ. თევდორაძეს, ვ. მუსელიანს და ი. ჩართოლანს შეისწავლონ ბროწეულას სკოლა-ინტერნატის ფიზიკის მასწავლებლის რ. ასათიანის, ლენტეხის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლის ჟ. ჯიქიასა და მესტიის რაიონის სოფელ ფარის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ფ. ონიანის მიერ კურსებზე მეცადინეობის გაცდენის მიზეზები და დამნაშავებს დაადონ სათანადო სასჯელი.

7. აყვანილ იქნენ სპეციალურ აღრიცხვაზე ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი 22 მასწავლებელი, რომლებმაც დახელოვნების კურსები ვერ დაამთავრეს აკადემიური ჩამორჩენილობის გამო და განათლების განყოფილებათა გამგეებისა და სკოლის დირექტორების მიერ მათი მუშაობის დამატებით შესწავლის შედეგად შეუფერებელნი განთავისუფლებულ იქნან სამუშაოდან.

8. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების კოლეგიებზე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებების, სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე, სკოლის ხელმძღვანელთა რაიონულ (საქალაქო) თათბირებზე და პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე) დააწესოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი — **გ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 1165

1959 წლის 10 ოქტომბერი

**საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების 1958-1959 სასწავლო წლის შედეგების შესახებ**

ადგილებზე შემოწმებითა და წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ საბავშვო სახლებმა და სპეციალურმა სკოლა-ინტერნატებმა გასული 1958-1959 სასწავლო წელი დამაკმაყოფილებლად დაამთავრეს.

26 სასკოლო და შერეულ საბავშვო სახლსა და 8 სპეციალურ სკოლა-ინტერნატიდან (მ. შ. ქ. თბილისის № 2 დამხმარე სკოლა) 15-ს 100-%-იანი მოსწრება აქვს. ესენი არიან: ქ. თბილისის ულინათლოთა, ქ.ქ. ქუთაისის და სიღნაღის ყრუმუნჯ ბავშვთა, ახალციხისა და ზედარგანის დამხმარე სკოლა-ინტერნატები, კოჯრის პირველი, მესამე, მეოთხე, მახარაძის, ახალქალაქის, ეწრის, ვაკის, ჩოხატაურის, ლენინგორის და ჭიათურის საბავშვო სახლები. მაღალი აკადემიური მოსწრება აქვთ გეგეჭკორის, ვაშლოვანის, თელავის, კარდანახის ბათუმისა და კოჯრის მეხუთე საბავშვო სახლებს.

1958 წლის 1 ივლისისათვის საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში ირიცხებოდა სასკოლო ასაკის 2746 აღსაზრდელი. სასწავლო წლის ბოლოს რიცხულ 2696 მოსწავლიდან შეფასებულ იქნა 2643. ამათგან ასწრებდა 2585 მოსწავლე, აქედან „5"-ზე 296, "4"-ზე 627, „3"-ზე 1669 მოსწავლე. იმავე კლასებში დატოვებული იქნა 58 მოსწავლე.

ამრიგად, აღსაზრდელთა აკადემიური მოსწრება უდრის 97, 8%-ს, მათ შორის „5"-ზე და „4"-ზე 35 %.

გასულ წელს საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ერთმა ნაწილმა საგრძნობლად გააუმჯობესა მატერიალური-სამეურნეო ბაზა. ასეთებია: კოჯრის პირველი და მეხუ-

თე, ნორიოს, ვაშლოვანის, კარდანახის, მახარაძის, მახინჯაურის საბავშვო სახლები. ქ. თბილისის უსინათლოთა, ქ. თბილისის ყრუმუნჯ ბავშვთა სკოლა-ინტერნატები და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგრძნობლად გაუმჯობესდა აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურება, სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობა და შრომითი სწავლება.

სამედიცინო მომსახურება დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული ახალქალაქის, სურამის, მახარაძის, თელავის, ბათუმის, მახინჯაურის საბავშვო სახლებში, ქ. თბილისის უსინათლო და ქ. თბილისის ყრუმუნჯ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში. ამ საბავშვო სახლებში და სკოლა-ინტერნატებში დღის რეჟიმი ზუსტად სრულდება. მენიუ დროულად და მოფიქრებულად დგება. კვების ბლოკი მოწესრიგებულია და სხვა.

წინა წლებთან შედარებით მეტად გაუმჯობესდა შრომითი აღზრდა და სწავლება. ბევრმა საბავშვო სახლმა სწორად გაიგო ამ საქმის მთელი სერიოზულობა და მუშაობაც ამ მიმართებით კარგად წარმართა, განსაკუთრებული კვალი დატოვა ნორიოელთა მოწოდებაზე გამოხმაურებამ. ამ მოწოდების საპასუხოდ რიგ საბავშვო სახლებში კარგადაა მოწყობილი დამხმარე მეურნეობები. ასეთებია მახარაძის, ახალქალაქის, ეწრის, ვაშლოვანის, საჩხერის, სურამის, ონის, ლენინგორის, მახინჯაურის, ბათუმის საბავშვო სახლები და ქუთაისის ყრუმუნჯ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი.

სკოლის-გარეშე აღმზრდელობითი მუშაობა კარგადაა დაყენებული კოჯრის პირველ, მეორე, მეხუთე, მახარაძის, ახალქალაქის, კარდანახის, სურამის, საჩხერის, თელავის, ბათუმის, მახინჯაურის, ვაშლოვანის და გეგეჭკორის საბავშვო სახლებში. ამ საბავშვო სახლებში სისტემატურად ტარდება ლექცია-მოხსენებები, ხშირად ეწყობა ექსკურსიები, ტურისტული ლაშქრობანი, ეწყობა კინო-სურათებზე კოლექტიური დასწრება და მათი საჯაროდ განხილვა. ფართოდ არის გაშლილი წრეობრივი მუშაობა.

გაუმჯობესდა მეთოდური მუშაობაც. რეგულარულად ტარდება ღია გაკვეთილები და მეცადინეობები. დამაკმაყოფილებლად მუშაობენ საგნობრივი კომისიები. ამ მხრივ გამოირჩევიან: თბილისის უსინათლო ბავშვთა, თბილისის, ქუთაისის ყრუმუნჯ ბავშვთა და თბილისის დამხმარე სკოლა-ინტერნატები, აგრეთვე თბილისის მეორე დამხმარე სკოლა, მახარაძის, ახალქალაქის, თელავის, სურამის, ბათუმის, მახინჯაურის და კოჯრის მეხუთე საბავშვო სახლები.

მიუხედავად ამისა, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

განთიადის საბავშვო სახლში სკოლაში ჩაუბმელია 13 აღსაზრდელი, 4 შეუფასებელია და 7 ვერ ასწრებს, კოჯრის მეექვსე საბავშვო სახლში 98 აღსაზრდელიდან 3 სკოლაში ჩაუბმელია, 2 შეუფასებელია და 6 ვერ ასწრებს.

საბავშვო სახლების ნაწილს სახელოსნოები მოუწყობელ და შეუფერებელ ბინებში აქვთ მოთავსებული, აღსაზრდელთა შრომითი საწარმოო მომზადება ჯერ კიდევ დაბალია.

ნორიოელთა მოწოდებას—დამხმარე მეურნეობის მუშაობის გარდაქმნის შესახებ, სათანადოდ ვერ გამოეხმაურა ზოგი საბავშვო სახლი. რიგი საბავშვო სახლებისა ნაკლები პასუხისმგებლობით ეკიდება განათლების სამინისტროსათვის დადგენილი ფორმის მიხედვით ანგარიშებისა და მასალების წარმოდგენის საქმეს. 1958-1959 სასწავლო წლის შედეგების მაჩვენებლები დაგვიანებით და უხარისხოდ შედგენილი წარმოადგინეს ქურთის, ბორჯომის, ვაკის, კოჯრის მესამე, კოჯრის მეექვსე, რუსთავის, განთიადის და კარდანახის საბავშვო სახლებმა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) მოწინავე მასწავლებელთა და აღმზრდელთა მუშაობის ურთიერთ გამოცდილების გაზიარების საფუძველზე, უმოკლეს დროში უზრუნველყონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აღმზრდელ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და დახელოვნებას, რისთვისაც დაავალდებულონ ისინი მოამზადონ თემები თავიანთ გამოცდილებებზე პედაგოგიურ კითხვაში მონაწილეობისათვის.

გ) არ დაუშვან აღსაზრდელთა უმიზეზოდ სკოლაში ჩაუბმელობისა და სკოლის მიერ შეუფასებლობის არცერთი შემთხვევა:

დ) გადამჭრელი ზომები მიიღონ აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურების სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის, რეგულარულად შეამოწმონ მედპერსონალის მუშაობა და საჭირო შემთხვევაში გაატარონ ქმედითი ზომები;

ე) განამტკიცონ საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების მატერიალური-სამეურნეო ბაზა და გააძლიერონ

კონტროლი შენობა-ნაგებობათა რემონტის ხარისხიანად ჩატარებასა და დაცვაზე;

ვ) მიიღონ ქმედითი ზომები შრომითი სახელოსნოების სათანადო იარაღმოწყობილობითა და საჭირო მასალით უზრუნველსაყოფად;

ზ) გადაჭრით გააუმჯობესოს ზოგადტექნიკური შრომითი სახელოსნოების მუშაობა პროგრამებისა და მეთოდურ მითითებათა საფუძველზე;

თ) სისტემატურად იზრუნონ აღსაზრდელთა კვების გაუმჯობესებისათვის, მტკიცედ იბრძოლონ იმისათვის, რომ სავაჭრო ორგანიზაციებმა შეუფერხებლად მოამარაგონ საბავშვო სახლები და სპეციალური სკოლა-ინტერნატები კვების პროდუქტებით;

ი) ფართოდ გაშალონ მუშაობა დამბმარე მეურნეობათაგან დამატებითი კვების პროდუქტების მისაღებად;

კ) გააძლიერონ კონტაქტი და გააუმჯობესონ მუშაობა საშეფო ორგანიზაციებთან და მზრუნველთა საბჭოებთან;

2. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ვ. ჩინჩალაძე), საგეგმოსაფინანსო სამმართველომ (უფროსი ა. კვაჭაძე) და მომარაგებისა და დამბმარე წარმოებათა განყოფილებამ (უფროსი ს. არველაძე) ქმედითი დახმარება გაუწიონ საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებს სასწავლო სახელოსნოებისა და დამხმარე მეურნეობათა უკეთ მოწყობის საქმეში.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 9 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მ ი მ ა რ თ ვ ა № 1067

1959 წ. 16 სექტემბერი

**აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეებს**

სამუშაოზე მოწყობისა და უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შესასვლელად საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის დახასიათება—რეკომენდაციების გაცემის წესის შესახებ შემოსულ შეკითხვებთან დაკავშირებით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო განმარტავს:

1. აღნიშნული დახასიათებები საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს უნდა მიეცეთ სიმწიფის ატესტატთან ერთად. დახასიათება-რეკომენდაციებს ხელს აწერენ სკოლის დირექტორი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და მოწმდება სკოლის ბეჭდით.

2. დახასიათება-რეკომენდაციებში მოცემული უნდა იყოს კურსდამთავრებულის უნარისა და მიდრეკილების, შრომისადმი მისი დამოკიდებულების, დისციპლინირებულობის, სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტივობის ვრცელი პედაგოგიური დახასიათება. დახასიათება-რეკომენდაციებში აღნიშნული უნდა იყოს პედაგოგიური საბჭოს აზრი იმ შრომითი საქმიანობის შესახებ (საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის ჩათვლით), რომელშიც კურსდამთავრებულს უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია, სკოლის დამთავრების მომენტისათვის მისი ინდივიდუალური მონაცემების შესაბამისად.

3. დახასიათება-რეკომენდაციები კურსდამთავრებულებს უნდა მიეცეთ მათი პირადი საქმეების, ბრძანების წიგნის, საკლასო ჟურნალებისა და სკოლაში არსებული სხვა დოკუმენტების ჩანაწერების, აგრეთვე მასწავლებლების, კლასის ხელმძღვანელების, საზო-

გადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელების, სკოლის ადმინისტრაციის პედაგოგიური დაკვირვებებისა და პედაგოგიურ საბჭოზე აზრთა გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო წინადადებას გაძლევთ ეს მითითებები გააცნოთ ყველა საშუალო სკოლის ხელმძღვანელს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ნ. ჯიბლაძე**
1959 წლის 16 სექტემბერი

# ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

### 1. გუნდის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობანი

I. სკოლის მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი ვალდებულია:

ა) აღრიცხვაზე აიყვანოს მუსიკალური მონაცემებით დაჯილდოებული მოსწავლეები, შექმნას მათგან გუნდი, დაუხვეწოს გუნდში გაერთიანებულ მოსწავლეებს მუსიკალური გემოვნება, სწორ ნიადაგზე დააყენოს მათი მუსიკალური განვითარების საქმე და იზრუნოს ბავშვთა მუსიკალური და ვოკალური მონაცემების განვითარებისათვის;

ბ) შეარჩიოს და გაამდიდროს მოსწავლეთა სასიმღერო რეპერტუარი, შეაყვაროს მათ ქართული და მოძმე რესპუბლიკების ხალხური და კლასიკური მუსიკა, გააცნოს საზღვარგარეთის ხალხთა სიმღერები და კლასიკოსთა ნაწარმოებები;

გ) შეაჩვიოს მოსწავლეები თავისი ხმისადმი ფაქიზად მოპყრობას, დირიჟორთან მუშაობას, შესრულების კულტურას.

2. გუნდის ხელმძღვანელად ინიშნება კვალიფიციური უმაღლესი (უფროსი ასაკის მოსწავლეებთან) ან სპეციალური საშუალო განათლების მქონე პირი (კონსერვატორიის, მუსიკალური სასწავლებლის ან მუსიკალური ათწლედის განათლებით).

II. გუნდის ორგანიზაცია

1. მომღერალთა გუნდის დაკომპლექტება ხდება ბავშვთა ასაკის მიხედვით, მათი მუსიკალურ-ვოკალური მონაცემების გათვალისწინებით (სმენა, რიტმი, მეხსიერება, ხმა, დიაპაზონი).

**შენიშვნა:** ხმების გასინჯვის დროს კონტროლი უნდა გაეწიოს ხმის ტემბრს, ეტყობა თუ არა მუტაციის (გარდატეხის) პერიოდი, ან ხმას ხომ არ დასდევს შრიალი, ბზარი და სხვ.

2. მომღერალთა გუნდში ერთიანდებიან მოსწავლეები III-დან X კლასის ჩათვლით.

3. გუნდს საერთო ხელმძღვანელობას უწევს სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, რომელიც თვალყურს ადევნებს გუნდის მეცადინეობის მიმდინარეობას, დისციპლინას, მოსწავლეებისადმი დახმარებას და საჭიროების შემთხვევაში იღებს სათანადო ზომებს.

III. გუნდის ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურება

1. ერთ საგუნდო ჯგუფად ითვლება 40 მოსწავლე.

2. თუ გუნდი ერთი ჯგუფისაგან შედგება. გუნდის ხელმძღვანელი მეცადინეობას ატარებს კვირაში ორჯერ. თითოეული მეცადინეობის ხანგრძლიობა უდრის ორ აკადემიურ საათს, კვირეული დატვირთვა—4 აკადემიურ საათს.

3. თუ გუნდი ორი ჯგუფისაგან შედგება, გუნდის ხელმძღვანელის კვირეული დატვირთვა შეადგენს 8 აკადემიურ საათს.

4. თუ გუნდი შედგება სამი ჯგუფისაგან, გუნდის ხელმძღვანელის კვირეული დატვირთვა შეადგენს 12 აკადემიურ საათს.

5. რეპერტუარის შერჩევა-დამუშავების, სარეპეტიციო მუშაობის, კონცერტებზე მონაწილეობის, სოლისტებთან მუშაობისათვის და სხვ. გუნდის ხელმძღვანელს დამატებით ეწერება 6 აკადემიური საათი.

6. გუნდის ხელმძღვანელებს ხელფასი ეძლევათ VIII-X კლასების მეორე ჯგუფის საგნების მასწავლებელთათვის დაწესებული განაკვეთების მიხედვით, განათლებისა და პედაგოგიური მუშაობის სტაჟის შესაბამისად.

ამ დებულების გამოცემასთან დაკავშირებით უქმდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1959 წლის 28 თებერვალს დამტკიცებული დებულება „სკოლის მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელის შესახებ“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 1246

1959 წ. 29 ოქტომბერი

**ქ. თბილისის ლენინის, სტალინის, კალინინისა და ორჯონიკიძის სახელობის რაიონების სკოლებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შ ე ს ა ხ ებ**

გავეცანი, რა მასალას ქ. თბილისის ლენინის, სტალინის, კალინინისა და ორჯონიკიძის სახელობის რაიონების სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ აღვნიშნავ, რომ დასახელებული რაიონების განათლების განყოფილებებმა და სკოლებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების საქმეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 15 ივლისის № 579 დადგენილების საფუძველზე მ/წლის 10 აგვისტოსათვის სკოლებმა სახლმმართველებთან, უწყებრივი სახლების, საერთო საცხოვრებლების კომენდატებთან, საბავშვო ბაღების გამგეებთან, რაიაღმასკომების რწმუნებულებთან ერთად შეადგინეს 7—15 წლის ბავშვთა და მოზარდთა სიები, შედგენილია აგრეთვე იმ ბავშვთა სიები, რომლებსაც 1 სექტემბრისათვის შეუსრულდათ 6 წელი. სკოლების ინსპექტირების დროს საჭირო ყურადღება ექცევა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეს.

ორჯონიკიძის რაიონში გადაჭარბებით არის შესრულებული მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 15038 ბავშვის ნაცვლად სწავლობს 15697 ბავშვი.

მიუხედავად ამისა, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ზოგიერთ რაიონში არ არის შესრულებული მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა.

1959/60 სასწავლო წლისათვის ლენინის სახელობის რაიონში გეგმით სწავლებაში უნდა ჩაბმულიყო 14618 მოსწავლე, ფაქტიურად ჩაბმულია 14235 მოსწავლე ე. ი. 383-ით ნაკლები, მათ შორის I—VII კლასებში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12513 მოსწავლისა ჩაბმულია 12481 ე. ი. 32 მოსწავლით ნაკლები.

სტალინის სახელობის რაიონში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8408 მოსწავლისა, სწავლობს 8129 ბავშვი ე. ი. მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულებას აკლია 279.

კალინინის სახელობის რაიონის სკოლებში ნაცვლად 7751 მოსწავლისა სწავლობს 7376 მოსწავლე ე. ი. მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულებას აკლია 375 მოსწავლე.

სათანადოდ არ არის გაშლილი მუშაობა აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან, რის გამო სკოლიდან გასული ბევრი მოსწავლე აკადემიურად ჩამორჩენილი და მეორეწლიანია. ასე, მაგალითად, ლენინის რაიონის სკოლების 1148 მეორეწლიანი მოსწავლიდან დღეისათვის არ სწავლობს 100, კალინინის სახელობის რაიონში 416 მეორეწლიანი მოსწავლიდან – 87 მოსწავლე. ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სკოლების მე—4 კლასებში არ სწავლობს 7 და VII კლასში 18 მეორეწლიანი მოსწავლე.

ადგილი აქვს სასკოლო ასაკის ბავშვთა სკოლიდან განთესვის შემთხვევებს. განთესილია ლენინის რაიონში—17, მათ შორის მე-14 საშუალო სკოლიდან—4, მე-2 საშუალო სკოლიდან—2, მე-5 საშუალო სკოლიდან—4, მე-7 სკოლიდან—3; სტალინის სახელობის რაიონში—16, მათ შორის 21-ე საშუალო სკოლიდან—5; ორჯონიკიძის სახელობის რაიონში—26, მათ შორის 64-ე საშუალო სკოლაში—11; კალინინის სახელობის რაიონში—16, მათ შორის 41-ე საშუალო სკოლაში—4;

ზოგიერთ სკოლაში შოუგვარებელია მოსწავლეთა მოძრაობა, არ იცავენ მოსწავლეთა მოძრაობისა და ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლის დადგენილ წესს. ბევრ სკოლაში ადგილი აქვს მოსწავლეების მიერ არასაპატიო მიზეზით მეცადინეობის გაცდენის შემთხვევებს. სკოლების დირექტორები და კლასის ხელმძღვანელები კი გადამჭრელ ზომებს არ ღებულობენ ამ მოვლენის წინააღმდეგ.

ზოგჯერ სკოლის დირექტორები არასწორ ცნობებს აწვდიან განათლების ორგანოებს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების მდგომარეობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა უახლოეს დროში გამოსწორების უზრუნველსაყოფად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. ქ. თბილისის ლენინის, სტალინის, კალინინისა და ორჯონიკიძის სახელობის რაიონების განათლების განყოფილებებმა (ს. ბიბილეიშვილი, ვ. შანიძე, კ. ლებანიძე, ვ. მელაძე) სკოლის დირექტორებთან ერთად:

ა) ერთი თვის ვადაში დააბრუნონ შესაბამის კლასებში სკოლიდან გასული ყველა ბავშვი და მოზარდი და აღმოუჩინონ მათ ყოველგვარი დახმარება რათა შეუფერხებლად განაგრძონ სწავლა;

ბ) თანმიმდევრულად გაატარონ ღონისძიებანი სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის თავიდან ასაცილებლად, მკაცრი კონტროლი დააწესონ მოსწავლეების მიერ გაკვეთილებზე დასწრების საქმეზე, უყურადღებოდ არ დატოვონ გაკვეთილების გაცდენის არცერთი შემთხვევა;

გ) ზუსტად დაიცვან მოსწავლეთა მოძრაობისა და ერთი სკოლიდან მეორე სკოლაში გადასვლის დადგენილი წესი, მტკიცედ იხელმძღვანელონ ამ საქმეში საქართველოს სსრ. განათლების სამინისტროს 1958 წლის 6 დეკემბრის ბრძანებით;

დ) გადაჭრით გააუმჯობესონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, აამაღლონ მოსწავლეთა მოსწრებისა და ცოდნის ხარისხი, გადამჭრელი ზომები მიიღონ მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობისა და მეორეწლიანობის სალიკვიდაციოდ;

ე) 15 დღის ვადაში შეამოწმონ საწარმოებსა და სარეწაო არტელებში სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა შრომის გამოყენების მდგომარეობა და დაუყოვნებლივ ჩააბან სწავლებაში სამუშაოზე უკანონოდ დაშვებული სკოლის ასაკის ყველა ბავშვი.

2. განათლების განყოფილებებმა:

ა) პერიოდულად შეისწავლონ სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობა, შედეგები განიხილონ განათლების საბჭოს სხდომებზე და ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ დასახონ კონკრეტული, ქმედითი პრაქტიკული ღონისძიებანი:

3. 20 ნოემბრამდე წარმოადგინონ განათლების სამინისტროში მოხსენებითი ბარათი ამ ბრძანების შესრულებისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 23 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 1251

1959 წ. 31 ოქტომბერი

**მოსწავლეთა მე-14 რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის შედეგებისა და მე-15 კონფერენციის ჩატარების ღონისძიებათა შ ე ს ა ხ ე ბ**

მე-14 რესპუბლიკურმა სასწავლო-შემოქმედებითმა კონფერენციამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების დანერგვასა და შემოქმედებითი მუშაობის გაშლას სკოლებსა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ 61 რაიონის 473 შვიდწლიანი და საშუალო სკოლის 9897 მოსწავლე. შემაჯამებელ სხდომაზე განხილულ იქნა 2854 შრომა, აქედან პიონერული მუშაობის საკითხებზე 646, ტექნიკის დარგიდან 665, ბიოლოგიიდან 221, ქიმიიდან 341, გეოგრაფიიდან 145, ისტორიიდან 180, ქართული ლიტერატურიდან—391, რუსული ლიტერატურიდან 149 და მასობრივი მუშაობის საკითხებზე 116.

კონფერენციაზე განსაკუთრებით კარგი ნაშრომები წარმოადგინეს: ქ. თბილისის, ქუთაისის. ლანჩხუთის, ონის, სამტრედიის, კასპის, ამბროლაურის, თერჯოლის, საგარეჯოს, ცაგერის, ხაშურის, თელავის, შუახევისა და ოჩამჩირის რაიონების სკოლებმა.

კონფერენციისათვის მოსამზადებელ მუშაობას კარგად უხელმძღვანელეს ქ. თბილისის, სამტრედიის, ონის, კასპის, ლანჩხუთის, თერჯოლის, ამბროლაურის, საგარეჯოს, ცაგერის რაიონების განათლების განყოფილებებმა, სკოლებმა და სკოლისგარეშე დაწესებულებებმა.

მიუხედავად ამისა, კონფერენციისათვის მზადებისა და ჩატარების საქმეში ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანებებს. კონფერენციაში მონაწილეობისათვის არასაკმაო მუშაობა ჩაატარა

წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ქედის, მცხეთის, ზნაურის, დუშეთის რაიონების სკოლებმა და სკოლისგარეშე დაწესებულებებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფერენციაში სრულიად არ მიუღია მონაწილეობა ხულოს, გუდაუთის, გაგრის, თიანეთის, გულრიფშის რაიონების სკოლების მონაწილეებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მოსწავლეთა მე-14 რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე წარმოდგენილი საუკეთესო ნამუშევრების 541 ნორჩი ავტორი განათლების განყოფილების 7 გამგე, 5 სკოლის დირექტორი, 32 მასწავლებელი, 4 უფროსი პიონერხელმძღვანელი დაჯილდოებული იქნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელით.

2. მე-15 რესპუბლიკური სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციის ჩასატარებლად მუშაობა დაიწყოს მ/წლის 1 ნოემბრიდან, ხოლო შემაჯამებელი კონფერენცია ჩატარდეს 1960 წლის საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში.

3. მოსწავლეთა რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის დებულება დამტკიცდეს.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) კლასის ხელმძღვანელებთან საკითხის სპეციალურად განხილვით უზრუნველყონ გასატარებელ ღონისძიებათა დაგეგმვა და ამ საქმეში მოსწავლეთა ორგანიზებულად ჩაბმა;

ბ) მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლეებმა თეორიული საკითხების დამუშავებისას პრაქტიკულად დააყენონ ცდები, დაამზადონ თვითნაკეთი ხელსაწყოები, მოდელები, შეადგინონ ჰერბარიუმები, შეაგროვონ კოლექციები, საჭიროების შემთხვევაში მოხსენებებს დაურთონ რუკები, ფოტოდოკუმენტური მასალები და ნახაზები;

გ) შექმნან კონფერენციის ჩატარების ხელისშემწყობი რაიონული კომისიები;

დ) რესპუბლიკურ კონფერენციაზე გამოსაგზავნად შერჩეული ყველა მასალა წინასწარ განიხილონ სკოლებსა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში, მოსწავლეთა სხდომებზე.

5. ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებმა, პიონერთა სახლებმა და სასახლეებმა თავიანთ სამუშაო გეგმებში გაითვალისწინონ მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციისათვის მზადების საკითხები.

6. ბორის ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ:

ა/ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს კონფერენციისათვის მზადების საქმეში;

ბ) პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად მიავლინოს სპეციალისტები თიანეთის, ადიგენის, ასპინძის, ყაზბეგის, წალკის, ხულოს რაიონებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

7. განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის საჭიროებისათვის გამოუყოს ბორის ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს 200 კილოგრამი ქაღალდი.

8. გაზეთ „სახალხო განათლების" და ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის" რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციისათვის მზადების მიმდინარეობა.

9. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 1257

1959 წ. 3 ნოემბერი

**საქართველოს სს რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შ ე ს ა ხ ე ბ**

გავეცანი რა მასალას აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, თელავის, ვანის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დმანისის, დუშეთის, ზესტაფონისა და ზუგდიდის რაიონების სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ, აღვნიშნავ, რომ განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და სკოლების დირექტორების მხრივ ამ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საქმისადმი ზერელე და არასერიოზული დამოკიდებულების შედეგად სკოლის ასაკის ბავშვთა სწავლებაში ჩაბმის სახალხო-სამეურნეო გეგმა არ სრულდება.

სწავლებაში ჩასაბმელ ბავშვთა კონტინგენტის შესრულებას აკლია ბოგდანოვკის რაიონში—335, ბორჯომის რაიონში—124, ვანის რაიონში—241, გეგეჭკორის რაიონში—373, გორის რაიონში—183, დმანისის რაიონში—250, ზესტაფონის რაიონში—181, ზუგდიდის რაიონში—131, ასპინძის რაიონში—39, ადიგენის რაიონებში—65 ბავშვი.

ზოგიერთ რაიონში პირველ მეოთხე კლასებში ჩასაბმელ მოსწავლეთა გეგმაც-კი არ არის შესრულებული. I-IV კლასებში ჩასაბმელ ბავშვთა გეგმის შესრულებას აკლია გეგეჭკორის რაიონში 200, ბორჯომის რაიონში—43, ვანის რაიონში—21, დმანისის რაიონში—26 ბავშვი.

რიგ რაიონებში ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის საქმე. განათლების

განყოფილებები და სკოლების დირექტორები აღრიცხვას არ აწარებენ სასოფლო საბჭოების აღმასკომებთან ერთად საკომლო წიგნებსა და დროებით მცხოვრებთა სიების ჩანაწერების მიხედვით და არა აქვთ სასკოლო ასაკის ბავშვთა ზუსტი აღრიცხვა. არსებული სიები ხშირ შემთხვევაში ემყარება მაოლოდ სკოლის მიკრორაიონის კარდაკარ შემოვლის მასალებს და არ არის შედარებული საკომლო და საბინაო დავთრების ჩანაწერებთან, რის გამო სასკოლო ასაკის ბევრი ბავშვი სიის გარეშე რჩება.

სკოლებიდან მოსწავლეთა დიდი რაოდენობით განთესვა ბევრ შემთხვევაში გამოწვეულია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არადამაკმაყოფილებელ დონეზე დაყენებით, მოსწავლეთა დაბალი წარმატებითა და მეორეწლიანობით. ადგილი აქვს მოსწავლეთა მასობრივად დატოვებას პირველ კლასშიაც კი. დატოვებულია I კლასში გორის რაიონში—134, ზუგდიდის რაიონში—198, ვანის რაიონში—116, გურჯაანის რაიონში—97, თელავის რაიონში—83, დუშეთის რაიონში—120, ბოგდანოვკის რაიონში—70, გეგეჭკორის რაიონში—140, ზესტაფონის რაიონში—67, ადიგენის რაიონში—54, ბორჯომის რაიონში—65, ამბროლაურის რაიონში—44, ასპინძის რაიონში—24 და აბაშის რაიონში—24 ბავშვი.

ხშირად სკოლას სტოვებენ მოსწავლეები ასაკგადაცილებულობის გამო. მაგალითად, ასაკგადაცილებულობის გამო გავიდა სკოლიდან გორის რაიონში 99, გურჯაანის რაიონში—61, დუშეთის რაიონში—46. ბოგდანოვკის რაიონში—48, გეგეჭკორის რაიონში—39, ზუგდიდის რაიონმი—26 და ზესტაფონის რაიონში—26 ბავშვი.

მიმდინარე სასწავლო წელს სკოლებში არ სწავლობს დმანისის რაიონში—295, დუშეთის რაიონში—183, ზუგდიდის რაიონში—143 ბოგდანოვკის რაიონში—95, ვანის რაიონში—89, გურჯაანის რაიონში—86, ბორჯომის რაიონში—64, გორის რაიონში—63, გეგეჭკორის რაიონში—54, ზესტაფონის რაიონში—45, ადიგენის რაიონში—29 და აბაშის რაიონში—30 მეორეწლიანი მოსწავლე.

სკოლებისა და განათლების ორგანოების ხელმძღვანელები არ ღებულობენ ქმედით ზომებს მოსწავლეთა არსებული კონტინგენტის შესანარჩუნებლად.

1952—53 სასწავლო წელს I კლასში მიღებულ მოსწავლეთა კონტინგენტიდან 1958—59 სასწავლო წელს 7 კლასი არ დაუმთავრებია გორის რაიონში 377, დმანისის რაიონში—330, დუშეთის რაიონში—324, ზუგდიდის რაიონში—701, თელავის რაიონში—293, ზესტაფონის რაიონში—226, გეგეჭკორის რაიონში—221, ბოგდა-

ნოვკის რაიონში—359, გურჯაანის რაიონში—162, ამბროლაურის რაიონში—103, ბორჯომის რაიონში—90, ადიგენის რაიონში—85 და აბაშის რაიონში—56 მოსწავლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთი რაიონის სასწავლო ქსელი ვერ უზრუნველყოფს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელებას. დარჩენილია სკოლის გარეთ საცხოვრებელი ადგილიდან სკოლის სიშორის გამო გორის რაიონში—59, წუგდიდის რაიონში—22, ბოგდანოვკის რაიონში—19, გურჯაანის რაიონში—13, გეგეჭკორის რაიონში—10 და ადიგენის რაიონში 7 ბავშვი.

სკოლის ასაკის ბევრი ბავშვი მუშაობს კოლმეურნეობებში, საწარმოებსა და სარეწაო არტელებში. ხოლო განათლების განყოფილებები და სკოლის დირექტორები არ ღებულობენ საჭირო ზომებს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში მათ ჩასაბმელად. მუშაობენ და არ სწავლობენ სასკოლო ასაკის ბავშვები გორის რაიონში—141, გეგეჭკორის რაიონში—121, ბორჯომის რაიონში—60, გურჯაანის რაიონში—52, დმანისის რაიონში—49, ასპინძის რაიონში—49, ამბროლაურის რაიონში—36, ადიგენის რაიონში—34, აბაშის რაიონში—34, ბოგდანოვკის რაიონში—51, დუშეთის რაიონში—43, ზესტაფონის რაიონში—47.

ზოგიერთ სკოლაში სათანადო სიმაღლეზე არ დგას აღმზრდელობითი მუშაობა და ხელაღებით აწარმოებენ სკოლიდან ბავშვების გარიცხვას. გასულ სასწავლო წელს გარიცხული იქნა სკოლებიდან ბოგდანოვკის რაიონში—14 და გორის რაიონში—13 ბავშვი.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდის შექმნასა და ხელმოკლე ოჯახების ბავშვთათვის დახმარების გაწევას. ოჯახური პირობების გამო ჩამოცილდნენ სკოლას ბოგდანოვკის რაიონში—48, გეგეჭკორის რაიონში—39, გორის რაიონში—28, ბორჯომის რაიონში—22, ზუგდიდის რაიონში—25, თელავის რაიონში—13 ბავშვი და ა. შ.

სკოლებიდან განთესილია გორის რაიონში—51, ზუგდიდის რაიონში—44, თელავის რაიონში 33 ბავშვი.

ხშირია მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გაცდენის შემთხვევები.

საყოველთაო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სასკოლო ინტერნატებს. ბევრ შემთხვევაში არ სრულდება სასკოლო ინტერნატებში მოსწავლეთა ჩაბმის გეგმა. დმანისის რაიონს აკლია 11, ადიგენის რაიონს—45 ბავშვი.

ჯერ კიდევ სუსტია სკოლების მნიშვნელოვანი ნაწილის სასწავლო მატერიალური ბაზა, ყველა 7 წლიანი და საშუალო სკოლა

არ არის უზრუნველყოფილი ლაბორატორია-კაბინეტებით. სკოლები სათანადოდ არ არიან უზრუნველყოფილი სასკოლო ინვენტარით, დროულად არ მარაგდებიან სათბობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების დარგში არსებულ ნაკლოვანებათა უახლოეს დროში გამოსწორების უზრუნველსაყოფად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა სკოლის დირექტორებთან ერთად:

1. სკოლის ასაკის ბავშვთა აღრიცხვის საქმეში მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 15 ივლისის № 579 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციით „სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის შესახებ„. დაუყოვნებლივ იქნან აღრიცხული სკოლის უბანში საცხოვრებლად მოსული სასკოლო ასაკის ბავშვები.

2. სკოლის გარეთ დარჩენილ სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა სწავლებაში ჩაბმის უზრუნველსაყოფად ღონისძიებანი განსახილველად წარუდგინონ რაიონისა და სოფლის საბჭოების აღმასკომებს. 15 ნოემბრამდე დააბრუნონ შესაბამის კლასებში სკოლიდან გასული ყველა ბავშვი და მოზარდი და დაეხმარონ მათ, რათა შეუფერხებლად განაგრძონ სწავლა.

3. დროულად მოახდინონ რეაგირება მოსწავლეთა განთესვის თითოეულ შემთხვევაზე და გადამჭრელი ზომები ნიიღონ სკოლაში მათ დასაბრუნებლად;

უზრუნველყონ გაკვეთილებზე მოსწავლეთა სისტემატური დასწრება.

4. გადაჭრით გააუმჯობესონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, აამაღლონ სწავლების ხარისხი, ქმედითი ზომები მიიღონ მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობისა და მეორეწლიანობის სალიკვიდაციოდ.

5. საჭირო ზომები მიიღონ სკოლებში ლაბორატორია-კაბინეტების მოსაწყობად და საჭირო ხელსაწყოებითა და თვალსაჩინოების მასალებით უზრუნველსაყოფად.

6. ყველა ზომა მიიღონ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდის შექმნისათვის და საჭირო დახმარება გაუწიონ უდედმამო და ხელმოკლე ოჯახების ბავშვებს.

7. უზრუნველყონ კოლმეურნეობებსა, საწარმოებსა და სარეწაო არტელებში მომუშავე ახალგაზრდობის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში ჩაბმა.

8. შეამოწმონ ზამთრისათვის სკოლების მზადყოფნის მდგომარეობა და საჭირო ზომები მიიღონ ყველა სკოლის სათბობით უზრუნველსაყოფად.

9. თანმიმდევრული ღონისძიებანი გაატარონ სწავლებაში ჩაბმული კონტინგენტის შესანარჩუნებლად.

10. დმანისის, ადიგენის, ასპინძის რაიონების განათლების განყოფილებებმა უზრუნველყონ სასკოლო-ინტერნატების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულება.

11. აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, თელავის, ვანის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დმანისის, დუშეთის, ზესტაფონისა და ზუგდიდის რაიონების განათლების განყოფილებებმა ა/წლის 20 ნოემბრისათვის წერილობითი ანგარიში წარუდგინონ განათლების სამინისტროს ამ ბრძანების შესრულებისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების მდგომარეობის შესახებ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მ ო ა დ გ ი ლ ე **მ. ბურჭულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 1271

1959 წ. 5 ნოემბერი

**საქართველოს სსრ მასწავლებელთა ყრილობის მიერ დასახულ ღონისძიებათა რეალიზაციის შ ე ს ა ხ ე ბ**

ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ მიღებული კანონის ცხოვრებაში გატარების უზრუნველსაყოფად საქართველოს რესპუბლიკაში ამას წინათ ჩატარდა მასწავლებელთა ყრილობა.

ყრილობამ გულდასმით განიხილა ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების, მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ახლებურად გარდაქმნის საკითხები, შეაჯამა მოსწავლეთა შრომითი აღზრდის დარგში დაგროვილი პირველი გამოცდილება და შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი პარტიისა და მთავრობის მიერ სკოლის წინაშე დასახულ ამოცანათა წარმატებით გადაჭრისათვის.

ყრილობის მიერ საქართველოს სსრ მასწავლებელთა სახელით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი მიცემულ პირობათა განუხრელად შესრულებისა და ყრილობაზე წამოყენებულ რაციონალურ წინადადებათა წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად, ვბრძანებ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა პროფკავშირის სათანადო ორგანოებთან მჭიდრო კავშირში:

1. კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე გულდასმით განიხილონ საქართველოს სსრ მასწავლებელთა ყრილობის მასალები. დარაზმონ სკოლების, სკოლამდელ და სკოლისგა-

რეშე დაწესებულებათა ხელმძღვანელობა და მთელი პედაგოგიური საზოგადოებრიობა მათ წინაშე მდგარი ახალი ამოცანების წარმატებით გადაჭრის უზრუნველსაყოფად:

2. გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის ზუსტად განსახორციელებლად. ამ კანონის განხორციელებისათვის ბრძოლა გაშალონ ლოზუნგით: „არცერთი სასკოლო ასაკის ბავშვი სკოლის გარეშე“:

3. მიაღწიონ, რომ სკოლის ხელმძღვანელები, მასწავლებლობა მახარაძელთა, თელაველთა, ქობულეთელთა, ზუგდიდელთა, აგრეთვე ცალკეული სკოლების თაოსნობას თვლიდნენ არა კამპანიურ ღონისძიებად, არამედ ყველა სასკოლო კოლექტივის მუდმივი ზრუნვის საგნად. უზრუნველყონ მოსწავლეთა დისციპლინის განმტკიცება, ყოველი სასკოლო შენობის, დგამ-ავეჯის, სკოლის კარმიდამოს ფაქიზად მოვლა და შენახვა, ყვავილნარების და დეკორატიული მცენარეების გაშენება, მოსწავლეთა თვითმომსახურების ფართოდ დანერგვა.

ხელი შეუწყონ კოლმეურნეობათა კეთილშობილურ ინიციატივას სასკოლო შენობების აგების, საკლასო ოთახებისა და სახელოსნოს სათავსოების მიშენების საქმეში, რაც განაპირობებს სკოლების ერთცვლიან მეცადინეობაზე გადასვლას;

4. დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი სკოლა-ინტერნატების ქსელის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კოლმეურნეობათა ინიციატივას საკუთარი სახსრებით სკოლა-ინტერნატების მშენებლობის საქმეში;

5. მჭიდრო კავშირი იქონიონ იმ საწარმოებთან, სადაც IX კლასების მოსწავლეები გადიან საწარმოო სწავლებას და შეთანხმებული მუშაობით უზრუნველყონ მოსწავლეების მიერ ამათუიმ საწარმოო კვალიფიკაციის წარმატებით ათვისება;

6. საწარმოთა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა ხელმძღვანელობასთან საქმიანი თანამშრომლობით უზრუნველყონ მომავალ წლებში საწარმოო სწავლებაზე გადასაყვანი IX კლასებისათვის სპეციალური საამქროების, მოსწავლეთა სამუშაო ადგილების გამოყოფა და ყოველმხრივ კეთილმოწყობა;

7. შეისწავლონ და ფართოდ განაზოგადონ იმ სკოლების გამოცდილება, რომლებიც მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ მოსწავლეთა შრომითი აღზრდის საქმეში (საწარმოო სწავლება, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მონაწილეობა, თვითმომსახურება და სხვ.);

8. იზრუნონ სკოლების მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის, რათა იგი სავსებით შეესაბამებოდეს მოსწავლეთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა-ჩვევებით შეიარაღების სადღეისო ამოცანებს;

9. ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ მასწავლებელთა ხარისხობრივი შემადგენლობის სრულყოფისა და მათი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი ამაღლებისათვის;

11. სკოლების სამმართველომ, პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა და სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებამ მოამზადონ ყრილობის მასალები ცალკე წიგნად გამოსაცემად 1960 წლის დასაწყისისათვის.

III. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ უზრუნველყოს ყრილობის მასალების ცალკე წიგნად გამოცემა 5000-იანი ტირაჟით, რისთვისაც განათლების სამინისტროს სტამბას გამოუყოს საჭირო რაოდენობის ქაღალდი.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 1287

**რეპუბლიკის სკოლებში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შ ე ს ა ხ ებ**

ზემდგომი ორგანოების დადგენილების საფუძველზე აღვნიშნავ, რომ რესპუბლიკის სკოლებში საბიბლიოთეკო საქმე მნიშვნელოვნად განვითარდა. ბიბლიოთეკები შექმნილია ყველა შვიდწლიანსა და საშუალო სკოლაში, რომელთა წიგნადი ფონდი 4.299.309 ეგზემპლარს შეადგენს. სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი ყოველწლიურად ივსება ახალი ლიტერატურით, იზრდება ნორჩ მკითხველთა რაოდენობა.

ახორციელებენ რა პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებს, სასკოლო ბიბლიოთეკები თვალსაჩინო მუშაობას ატარებენ წიგნის პროპაგანდისათვის, თავიანთი წვლილი შეაქვთ მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო, პოლიტიკური, კულტურული, სამეცნიერო-ტექნიკური დონის ამაღლების, მათი კომუნისტური აღზრდის საქმეში.

ამასთან ერთად სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობაში შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი. ბევრი სასკოლო ბიბლიოთეკა ჯერ კიდევ ცუდად მუშაობს და ვერ აკმაყოფილებს მოსწავლეთა გაზრდილ მოთხოვნილებას წიგნზე, მეტად მცირეა მკითხველთა რიცხვი, დაუშვებლად დაბალ დონეზეა წიგნადი ფონდის დაცვის საქმე.

სერიოზული ნაკლოვანებებია წიგნადი ფონდის დაკომპლექტების საქმეში. ჯერ კიდევ არის ფაქტები, როცა ბიბლიოთეკებს ახალი ლიტერატურა ეგზავნებათ დაგვიანებით, არაგეგმაზომიერად, თვით სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნად ფონდში ვხვდებით მოსწავლეთათვის სრულიად შეუფერებელ ლიტერატურას.

სასკოლო ბიბლიოთეკები ღარიბია ტექნიკური, საბუნებისმეტყველო, მეცნიერულ-პოპულარული და ახალი მხატვრული ლიტე-

რატურით. ზოგიერთი სასკოლო ბიბლიოთეკა დანაგვიანებულია, მოძველებული გამოცემებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელ რიგ სასკოლო ბიბლიოთეკებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მასობრივი მუშაობა. ცუდად არის გამოყენებული წიგნის პროპაგანდის მრავალფეროვანი ფორმები, ბევრ მათგანს არ გააჩნია საკითხავი წიგნების სარეკომენდაციო სიები კლასების მიხედვით.

მთელი რიგი სასკოლო ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ზოგიერთ სკოლაში ბიბლიოთეკისათვის სრულიად არ არის გამოყოფილი ცალკე ოთახი, ან გამოყოფილია პატარა შეუფერებელი ოთახები, სადაც შეუძლებელია რაიმე ნაყოფიერი მუშაობის გაშლა.

ზოგ სასკოლო ბიბლიოთეკას არ გააჩნია შესაფერისი საბიბლიოთეკო მოწყობილობა და ინვენტარი: საკატალოგო ყუთები, თაროები, კარადები, მაგიდები, სკამები და სხვ.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ბიბლიოთეკართა კადრების მომზადებისა და შერჩევის საქმე. ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ ვხვდებით არასპეციალური განათლების მქონე ბიბლიოთეკარებს.

აღნიშნული ნაკლოვანებები იმაზე მიუთითებენ, რომ სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობას არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ განათლების ორგანოები და სკოლების დირექტორები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; მიაღწიონ წიგნის უფრო ქმედითად გამოყენებას მოსწავლე ახალგაზრდობაში კომუნისტური თვისებების აღსაზრდელად, სასკოლო ბიბლიოთეკები გადააქციონ ზოგადსაგანმანათლებლო, ტექნიკური, საბუნებისმეტყველო, მეცნიერული ცოდნის პროპაგანდის ცენტრად.

2. სასკოლო ბიბლიოთეკეკმა მთავარ ამოცანად დაისახონ პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პროპაგანდა, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის საკითხების ახსნა-განმარტება, მოსწავლეთა კომუნისტური შეგნებულობის ასამაღლებლად, მათში მაღალი მორალური თვისებების

გამოსამუშავებლად. ფართოდ გაშალონ წიგნის პროპაგანდა, წიგნადი ფონდი გახადონ მისაწვდომი ყველა მოსწავლისათვის, გაუწიონ ქმედითი დახმარება ნორჩ მკითხველებს წიგნის შერჩევისა და მასზე დამოუკიდებლად მუშაობის საქმეში.

3. განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა:

ა) გადამჭრელი ზომები მიიღონ სასკოლო ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად, იმ ვარაუდით, რომ უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში გამონახული იქნას საშუალებანი სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის კეთილმოწყობილი ბინების გამოსაყოფად, საჭირო ავეჯითა და საბიბლიოთეკო ინვენტარით უზრუნველსაყოფად;

ბ) კატეგორიულად აკრძალონ სასკოლო ბიბლიოთეკების ბინის სხვა დანიშნულებით გამოყენება;

გ) განიხილონ საკითხი შეუფერებელ ბინებში მოთავსებული ბიბლიოთეკების შეძლებისდაგვარად უკეთეს, კეთილმოწყობილ ბინებში მოთავსების შესახებ.

დ) სწორად აწარმოონ წიგნადი ფონდის დაკომპლექტება და შევსება ახალი პოლიტიკური, ტექნიკური, მეცნიერულ-პოპულარული, მხატვრული, სასწავლო და პედაგოგიური ლიტერატურით და თვალსაჩინო ხელსაწყოებით:

ე) მიიღონ გადამჭრელი ზომები წიგნადი ფონდის მოძველებული და შეუფერებელი წიგნებისაგან გასაწმენდად, გაზარდონ წიგნადი ფონდის ბრუნვა: მიაღწიონ იმას, რომ ბიბლიოთეკა მომსახურებას უწევდეს ყველა მოსწავლეს;

ვ) გაითვალისწინონ, რომ წიგნების შეფუთვისა და ტრანსპორტირების ხარჯები ბიბლიოთეკების ნაცვლად დაკისრებული აქვს საქწიგნსა და ბიბკოლექტორს;

ზ) ბიბკოლექტორიდან წიგნები მიიღონ მხოლოდ სასკოლო ბიბლიოთეკების დაკვეთით;

თ) სასკოლო ბიბლიოთეკებში სამუშაოდ შეარჩიონ კვალიფიციური, სპეციალური განათლების მქონე კადრები.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა გააუმჯობესოს და უფრო ფართო მასშტაბით მოაწყოს სასკოლო ბიბლიოთეკარების გადამზადება, მათი იდეურ-პოლიტიკური დონისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

5. სკოლების სამმართველომ სკოლების ინსპექტირებისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის საკითხების შესწავლას. სკოლების მუშაობის შესახებ

მოხსენებით ბარათებსა და ბრძანებებში ასახოს სასკოლო ბიბლიოთეკების შემოწმების შედეგები და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. გაზეთ „საბალხო განათლებისა“ და ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის“ რედაქციებმა ფართოდ გააშუქონ სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის საკითხები, განაზოგადონ მოწინავეთა გამოცდილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი — **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

1. ბრძანება № 1144—მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის 1959 წლის საკურსო ღონისძიებათა გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ . . . . . 3
2. ბრძანება № 1165—საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების 1958—1959 სასწავლო წლის შედეგების შესახებ . . . . . 8
3. მიმართვა № 1067 . . . . . 12
4. დებულება სკოლის მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელის შესახებ . . 14
5. ბრძანება № 1246—ქ. თბილისის ლენინის, სტალინის, კალინინისა და ორჯონიკიძის სახელობის რაიონების სკოლებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ 16
6. ბრძანება № 1251—მოსწავლეთა მე-14 რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის შედეგებისა და მე-15 კონფერენციის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . . . . . 20
7. ბრძანება № 1257—საქართველოს სს რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლიბის კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ . . . . . 23
8. ბრძანება № 1271—საქართველოს სსრ მასწავლებელთა ყრილობის მიერ დასახულ ღონისძიებათა რეალიზაციის შესახებ . . . . . 28
9. ბრძანება № 1287—რესპუბლიკის სკოლებში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . 31

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი მ. ბურჭულაძე
კორექტორი ე. აგლაძე

გადაეცა წარმოებას 12/IX—59 წ., ანაწყობის
ზომა 6×10, ქაღალდის ზომა 60×84,
სასტამბო ფორმათა რაოდენობა 2,25
შეკვ. № 1183, ტირაჟი 5000

უ ფ ა ს ო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა.
თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ., № 19.

Типография Министерства просвещения Груз. ССР.
Тбилиси, ул. уш. Чхеидзе, № 19.